ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

განკარგულება:**g-37.37220214**
თარიღი:**21/01/2022**

განკარგულება № 2

ქ.ოზურგეთი 21 იანვარი 2022 წელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის

სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის, ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის N1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტის და 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმა თანახმად დანართისა (დანართი თან ერთვის).

2. ამ განკარგულების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N1 განკარგულება.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი. სიორიძის N14) მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი